# სახალხო გაზეთი

№ 322 ხუთშაბათი, 9 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 322

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური სპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი“ (სურათებიანი დამატებით)
1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

„სახალხო გაზეთი“-ს
ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.


სოფ. სალოლაშენში, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თავ. სარდიონ სვიმონის ძე ამირეჯიბი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა კნეინა მაკინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბისა შვილებით. დაკრძალვა სოფ. სალოლაშენში (სადგ. ქარელიდგან, ამიერ-კავკასიის რკ. გზა), პარასკევს, 10 ივნისს, წირვის დასაწყისი 10 საათზე. (2—654—2)


ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

დღეს, 9 ივნისს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

მაღაროს უფროსი მუშა, დრამა 1 მოქ. გერბიდონისა, თარგ. ნ. გოცირიძისა.

II ოპერეტა ქორწინის წინ, 1 მოქ., მუსიკა ყონასი, თარ. ვ. აბაშიძისა.

III ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ, კ. 2 მ. ერისთავისა

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ელ. ჩერქეზიშვილი, ქიქოძე, თამარაშვილი; ბ-ნნი ალ. იმედაშვილი, მეტრეველი, ნარი, ბაქრაძე, გოცირიძე, ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში. დილ. 10—2 ს. და საღამოს 6—9 ს. დასაწყისი საღ. 8 ს

(1—1268—1) ადმინისტრატორი ა. ქიაბერაშვილი. რეჟისორი ნ. გოცირიძე.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

პარასკევს, 10 ივნისს,

ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა აკაკი წერეთლისა

პატარა-კახი, ისტორიული დრამ. 5 მოქ. მონაწილეობენ: ქ-ნნი რჩეულოვისა, კოვლიძისა; ბ-ნნი ფირუმოვი, ჯავახიშვილი, მაჩაბელი, ჯანყულოვი, უხეიძიშვილი, გველესიანი, სისოევი, ღოღობერიძე და სხვ.

II საღამოს ერთი ცხვირი ხეირია, კომ. 1 მოქმ., სუნდუკიანცისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი რჩეულოვისა, მარგველაშვილი; ბ-ნნი ბერიშვილი, გოჩიტაშვილი და ფირუმოვი. ბილეთ. იყიდება თეატრ. კასაში ადგილ. ფასი 10 კ.—80 კ.

ანტრაქტებში დაუკრავენ მანდალინის და გიტარის ხორო.

გამგე ჯავახიშვილი რეჟისორი ფირუმოვი.

დასაწყ. საღამ. 8 ს. (2—655—1)

საბურთალოზე მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—64)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დხვეთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და მაბ. 10—12 ს.

ქაჯაიძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

თრემბიცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხობთალევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაჯოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. სადღესურით. (წ.—1089—482)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაბუნიის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—74

გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა
„შვების თავადი“
ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის“ ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარეთ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (20—1308—10)

სახალხო უნივერსიტეტი

შაბათს, 11 ივნისს, „სპორტის“ ბაღში (მიხეილის ქუჩა), ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ გაიმართება სეირნობა მეტად საინტერესო პროგრამით.

ზუბალაშვილების სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 12 ივნისს, გაიმართება ბრწყინვალე დილა რუსეთის კრიტიკოსის ვ. გ. ბელინსკის გარდაცვალების 100 წ. თავის აღსანიშნავად. (3—656—1)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი
„კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაშის სახლი. ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარეთ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

ხულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ს. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—56)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—35)

ქუთაისში
ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—5)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ლოვინის პროსპ. N 12, ახლი მდ.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ხობთალევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. (წ.—1090—79)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ვაბაშვილისა

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

ექიმი კბილისა ისიდორე ჭანტურია გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329.—3)

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი ქალი ფრანგულ-გერმანულ-ენებისა და მუსიკის მცოდნე

აძლევს გაკვეთილებს

თანახმაა ქალაქ-გარედაც წავიდეს მასწავლებლად.

ადრესი: გუდოვიჩის ქ. N 7; სამხატვრო კურსები. იკითხეთ მასწავლებელი ქალი. (12—1309—12)


## ტფილისი, 9 ივნისი

**კავკასია, ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობა.**

ოქტომბრისტების გაზეთის უკანასკნელ ნომრებში იბეჭდება წერილები კავკასიასა, ადგილობრივ და ცენტრალურ მმართველობაზე. გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების თვალსაზრისით სანამესტნიკოს გაუქმება სასარგებლოა. ამ დასკვნამდე გაზეთი იმ გარემოებას მიუყვანია, რომ გამორკვეული არ არის უფლებანი და კომპეტენცია თვით ნამესტნიკისა. იურიდიულად ნამესტნიკი თითქოს ყველა მინისტრებზე მაღლა სდგას, რადგანაც მინისტრთა საბჭოში არ შედის. ფაქტიურად კი იგი იძულებული ხდება კანონ-პროექტები ყოველთვის მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს ხოლმე განსახილველად. ასეთი მდგომარეობა კი შეუძლებლად ჰხდის კავკასიის კანონმდებლობის რაციონალურად დაყენებასა და გაფართოვებას. კავკასიის ნამესტნიკის საბჭომ არაფერი იცის ცენტრალურ მთავრობის პოლიტიკის შესახებ, ცენტრალური მთავრობა კი ნამესტნიკის საბჭოს ავალებს კანონ-პროექტების შემუშავებას. ამიტომაც მოხდა, ამბობს გაზეთი, რომ დღემდის ვერც ერთი ახალი კანონ-პროექტი ვერ განხორციელდა კავკასიაში. ცენტრალური მთავრობა კავკასიის კანონ-პროექტებზე არა ჰფიქრობს, რადგანაც იქ ნამესტნიკია, ნამესტნიკი კი მოკლებულია ფაქტიურს საშუალებას შეიმუშაოს კანონ-პროექტები. ასეთი გამოურკვეულობა ფუნქციებისა კი აგვიანებს კავკასიასთვის საჭირო რეფორმების განხორციელებასაო.

არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლო იქნება სანამესტნიკოს გაუქმება, ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ „გოლოს მოსკვი“-ს სიტყვებში ბევრი სიმართლეა. განახლებულ რუსეთის კანონმდებლობა, ცოტად თუ ბევრად, წინ მიდის. სასამართლოს რეფორმა, საყოველთაო სწავლება და სხვა ამ გვარი კანონ-პროექტები კავკასიას არ ეხება. კავკასია განსაკუთრებულ პირობებშია ჩაყენებული, საზოგადო რეფორმები მას არ ეხება, და ადგილობრივ კი არავითარი კანონ-პროექტები არა ჰმუშავდება.

ეს ანორმალური მდგომარეობაა, და რაც უფრო მალე მოეღება ბოლო ასეთს მდგომარეობას, მით უკეთესია. მაგრამ საკმარისი იქნება თუ არა ამისთვის სანამესტნიკოს გაუქმება, ეს კიდევ საეჭვოა. იქნება ის გამოურკვეულობა, რომელიც არსებობს ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობათა დამოკიდებულებაში, მართლაც ძალიან აფერხებს კავკასიის კანონ-მდებლობას, მაგრამ გაცილებით უფრო აფერხებს ის უნდომლობა, რომლითაც ჯერ ისევ ექცევა ცენტრალური მთავრობა კავკასიას. არსებობს ერთი მშვენიერი ქართული ანდაზა: „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო“. თუ ცენტრალურ მთავრობას სურვილი ექნება კავკასიის კანონ-მდებლობის გაფართოვებისა, დღევანდელ პირობებშიაც ადვილად მოახერხებს... მაგრამ, ვაი, რომ „გული არა გულობს“.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამიერ კავკასიაში დროებით-ვალდებულ გლეხთა მდგომარეობის შეცვლის პროექტმა, როგორც იყო მიაღწია მინისტრთა საბჭომდე და „გოლოს მოსკვი“-ს თანამშრომლებს კიდევ საშუალება ეძლევათ სიამითა სთქვან: „nous rèvenons toujours, à nous prémiers amours,“ და გამოსთქვან გულის მომწყვლელი „სიმართლენი“ კავკასიის ერთა შოვინიზმზე, სეპარატიზმზე და უმადურობაზე. გაზეთი აღნიშნავს, კავკასიის მოუწესრიგებლობას რეფორმების საჭიროებას; იგი განცვიფრებულია მცხოვრებთა გულის-ნადების ასე მოულოდნელად გამოაშკარავებით ამ რამდენიმე წლის წინად, მაშინ, როდესაც თითქოს ყველაფერი სასურველად იყო მოწყობილიო.

„კავკასიის სამი მთავარ-მართებლის (თ-დ დონდუკოვი-კორსაკოვის, შერემეტიევის და თ-დ გოლიცინის) მმართველობის შედეგი მხარეს სრული დაშოშმინება და ერთგულ მორჩილება იყო; მაგრამ უცებ, მოულოდნელად, დაინახა ცენტრალურმა მთავრობამ და მთელმა რუსეთის საზოგადოებამ სრული მოუწეს-რიგებლობა, და საზარელ ანარქიის სურათი გადაიშალა და ყველას, ვინც კი უწინ იცნობდა კავკასიას, ძალა-უნებურად დაებადა კითხვა: როდისღა და როგორ გამოიცვალნენ ეს ჩვენი მეგობრები და მოკავშირენი, ჩვენი ძველად სტუმართ-მოყვარე და ჩვენგან შეტკბობილი „კავკასიელნი“-ო?

საამო სანახავია, როცა „სტუმართაგან“ დაყვავებულია და შეტკბობილი გულუხვი მასპინძელი.

„ჯერ კიდევ დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დროს, თათრებთან ომის დროს, ვის მოუვიდოდა აზრად ეფიქრა ქართველთა სეპარატიზმზე, როდესაც ქართველი თავადები—აწინდელ ავტონომისტთა მამები—უკლებლივ ჩვენ დროშის ქვეშ იდგნენ, იხოცებოდნენ და შთამომავლობას მეფისა და რუსეთის ერთგულებას უანდერძებდნენ“-ო.

დიახ, აქ ყველაზე მგრძნობიერ სიმს ჩამოკრეს, და საინტერესოა, როგორ აჟღერდებიან თანამედროვე ქართველთა გულში სიმები!

„სომეხთა გენერლებს მიჰყავდათ ჩვენი ჯარები სომეხ მზვერავებთა და გზის მაჩვენებელთა კვალდაკვალ თავიანთ სოფლებით მცირე აზიისაკენ და სოფლები სასულიერო პირთა და საეკლესიო დროშებით ჯარს წინ ეგებებოდნენ—და რა საჭირო იყო სომხებს გაფრთხილებოდით? მერეც, ათი წლის შემდეგ, 1888 წელს უკვე თ-დ დონდუკოვის დროს, როდესაც კავკასიაში იმპერატორი ალექსანდრე მე-III ჩამობრძანდა, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ მცხოვრებლები სანდონი არ არიან... „მე ვენდობი ჩემს ხალხსა“-ო, სთქვა მაშინ იმპერატორმა მუშტაიდში, როდესაც ხალხმა წრე გაარღვია და მეფისკენ გასწია.

„...მხოლოდ 15—16 წელი გავიდა და... ჩვენგან შეტკბობილი, უანგაროდ ერთგული ქართველი თავად-აზნაურობა ურცხვად თხოულობს ავტონომიას და საქართველოს შემოერთებას აშკარად იხსენიებს მონობად. გლეხებმა უკლებლივ თავი სოც.-დემ. აღიარეს, გადასწვეს და გადაბუგეს თავისივე ქართველი მემამულენი და გადარეულ დემაგოგთა პირით დემოკრატიული რესპუბლიკა მოითხოვეს. სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუტუნ“-ი გადმოსახლდა სათათრეთიდან და საომარ წესზე დაირაზმა.

დასასრულ მოულოდნელადვე აღსდგა თავის მეზობლებზე მუსულმანთა ბრბო...

ცხადია, რომ მთავარ-მმართებელთა მმართველობაში შეცდომები ყოფილა. სამწუხაროდ გაზეთი არ ასახელებს, რა შეცდომები იყო, როგორც არ ასახელებს არც ახალ ზომებს, რომლებითაც უნდა გასწორდეს ეს საშინელი შეცდომები. აქ ძალა უნებურად გვაგონდება პრ.-დ. ივ. ჯავახიშვილის პატარა ბროშურის ერთი ადგილი: „15 წელიც არ გასულა და სწორედ ისინი, ვინც განგებას ლოცავდა, რომ ქართველთა ტერიტორიაზე რუსის ჯარი გამოჩნდა, ახლა ბედს იწყევლიდნენ“-ო. ჩვენც „გოლოს მოსკვი“-სთან ერთად ვიკითხავთ: „ნეტავ რატომ მოხდა ეგ“?!

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **წელს ოდესის უნივერსიტეტი გათავეს შემდეგმა ჩვენმა თანამემამულეებმა:** იურიდიული ფაკულტეტი—იოსებ გელოვანიშვილმა, ალექსი ზუბდინიძემ, ამბროსი ყვანიძემ, იოსებ ციციშვილმა. ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის ... განყოფილება—გიორგი ავალიშვილმა, დავით აკობაშვილმა, გიორგი ბარნაბიშვილმა, ანტონ მეტრეველმა, დავით პარჯაძემ, ალ. წერეთელმა, არკადი ჩხენკელმა. ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი: ალექსანდრე ცოჩოლიაშვილმა და კონსტანტინე ლომიძემ.

◆ **ქალაქის სამეურვეო კომისიამ** ტრამვაის დირექციას კიდევ 9,000 მანეთი დააჯარიმა.

◆ **ქალაქის საქმეთა სამმართველოს** საერთო კრება დღეს მოიწვევა. განიხილავს ქალაქის 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტის** ბედი დღეს საბოლოოდ გადასწყდება სახელმწიფო საბჭოში. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა დეპეშით სთხოვა სახელმწიფო საბჭოს წევრს ნიკოლსკის, სახალხო განათლების მინისტრს, ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ვებერს და მთავარ-მმართველის ... მალინოვსკის, მხარი დაუჭირონ კავკასიის უნივერსიტეტს.

◆ **სახელ. სათათბიროს დეპუტატმა კარლო ჩხეიძემ** გუშინ ტფილისის გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს ტფილისში ლექციის წაკითხვისა შემდეგ თემაზე: **„ეროვნული საკითხი მესამე სათათბიროში"**. ლექციის პროგრამაში სხვათა შორის მოხსენებულია: ერობა კავკასიაში, ადგილობრივი სასამართლო, საყოველთაო სწავლა, დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობის ლიკვიდაცია, ხიზანთა მდგომარეობის სალიკვიდაციო კანონპროექტი, კავკასიის უმაღლესი სასწავლებელი, მიწის ლალი და საერობო გარდასახადი კავკასიაში; შეკითხვა: კავკასიაზე, მასწავლებელ კუსტანოვიჩზე და სხვა.

◆ **ცნობილი მეცნიერი პროფესორი ნ. ი. კუზნეცოვი** სამი დღეა გულმოდგინედ ათვალიერებს ტფილისის ბოტანიკურ ბაღს. ამ დღეებში ბაკურიანში გაემგზავრება, სადაც ბოტანიკურ ბაღის ალპიის განყოფილებას დაათვალიერებს და შემდეგ თავის თანაშემწე პოპოვით დაღესტნის ბუნების შესასწავლად გაემგზავრება.

◆ **ტფილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა** ამ ბაღის მზრუნველს დ. ი. სოსნოვსკის დაავალა გაემგზავროს საბოტანიკო-საგეოგრაფიო გამოსაკვლევად ყარსის ოლქის მიდამოებში.

◆ „კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: **შაქარს** გირვანქაზე **1 კაპეიკი** ემატებაო.

◆ „ნოვოე ვრემია" შოშხრეა, რომ ბათომის საბჭოს შუამდგომლობა, რათა სპარსეთში გასატანად ბათომში მოსული უცხოეთის საქონელი პირდაპირ მიდიოდეს უბაჟოდ. გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში სულ ერთია დამარცხებულია გერმანელებისაგან. ეხლა საჭიროა რუსეთმა სავაჭრო გზა მაინც შეინარჩუნოს, რომელსაც მრავალი მილიონის შემოტანა შეუძლიანო.

◆ ჩვენ თანამემამულეს ნიჭიერ მუსიკოსს კ. **ფოცხვერაშვილს** ექსტერნად გაუთავებია პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნების-მეტყველო ფაკულტეტი და პირველი ხარისხის დიპლომი მიუღია.

## წვრილი ამბები

◆ ტფ. გენერალ-გუბერნატორმა 100 მან. დააჯარიმა მამაჯან მაჭმადოღლი ნებადაურთველად იარაღის შენახვის და ტარებისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დაპატიმრებენ.

◆ 7 ივნისს ტფილისში შეიპყრეს ტფ. მაზრის სოფელ მარტყოფის მცხოვრები მიხეილ იაგორის ძე ეპიტაშვილი, რომელიც გორში იყო გადასახლებული და ტფილისში თავის ნებით დაბრუნდა.

◆ 7 ივნისს ყაჭარმა ალექსანდრე სვიმონის ძე თეჭანეზოვმა ჩხუბის დროს მარცხენა ფერდში დანით მძიმედ დასჭრა დარჩო იაგორას ძე ბერიშვილი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 7 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 73 უპასპორტო.

◆ კახეთის ქუჩაზე ღამის 11 საათზე მიმავალ ტფ. მოქალაქეს მატვეი ალექსის ძე ხაზიანცს უცებ თავს დაეცა ორი უცნობი, ძალად შემოხსნეს ვერცხლის ქამარი 40 მან. ღირებული და მიიმალნენ. პოლიციამ გზაში შეიპყრო ეფრემ სტეფანოვი და ალექსანდრე დემუროვი, რომელნიც აღმოჩნდნენ ქამრის ნამდვილი გამტაცებლები. ქამარი პატრონს ჩააბარეს.

◆ 7 ივნისს ქალაქის მეორე თავშესაფარში უცებ ავად გახდა ფედორ გერმანოზოვი. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, სადაც ჩქარა გარდაიცვალა.

◆ გუშინ საღამოს ეხე 4½ საათზე ერთ უცნობ ქალს, ვორონცოვის ხიდთან, უნდოდა მტკვარში თავის დაღრჩობა, მაგრამ სწორედ იმ დროს როდესაც მდინარესთან კიბით უნდა ჩასულიყო—დაიჭირეს და გადაარჩინეს.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **10 ივნისს კავკასიის მიწად-მოქმედ და** მიწად-მომწყობ მთავარ გამგის რწმუნებულის კანცელარიაში შესდგება რუსეთის მეხილეთა საზოგადოების კავკასიის განყოფილების საჯარო კრება.

◆ კვირას, 12 ივნისს, ტფილისის ხელოსანთა სამმართველოში დანიშნულია ხელოსანთა წვრილ კრედიტის ამხანაგობის საგანგებო კრება; განსახილველია: გამგეობის მოქმედებაში უწესოების აღმოჩენა, გამგეობის წევრთა რიცხვის 9-მდე გადიდება და სხვა.

## სასწავლებლებში.

◆ უკვე შეუმუშავებიათ პროექტი, რომლის მიხედვითაც სასულიერო სასწავლებლები ექვს-კლასიან სასულიერო პროგიმნაზიებად უნდა გადაკეთდეს. ამ პროექტის ძალით, მოწაფეთ ასეთ პროგიმნაზიების დასრულების შემდეგ მთავრობის გიმნაზიის შესაფერ კლასში შესვლის ნება ეძლევათ. სამოსწავლო პროგრამას სპეციალური ხასიათი ექნება. პროგრამაში მხოლოდ სალვთის-მეტყველო საგნებია.

◆ ტფილისის ქალების მეორე გიმნაზიაში წელს კურსი დაამთავრა 69 ქალმა. ამათში 13 ქართველია: საათაშვილი ნინო, ხარხარაშვილი ბარბარე, ლასხიშვილი ნინო, ბადრიშვილი თამარ, გურგენიშვილი ელისაბედ, მუსხელიშვილი მარგარიტა, ხერხეულიძე ელენე, გულიაშვილი ნინია, სოზიაშვილი სოფიო, ჩიგოგიძე ვერა, კერესელიძე მაგდალინა.

◆ **სამუსიკო სასწავლებელი** წელს 9 მოწაფეს გაუთავებია. მათ რიცხვში ერთი ქართველია: მარიამ მუსხელიშვილისა.

◆ **ტფ. ვაჟთა პირველი გიმნაზია** წელს 68 კაცმა დაამთავრა, მათ რიცხვში 12 ქართველია: დემურია, ზურაბიშვილი, ლიონიძე, რუსიშვილი, ტყემალაძე, აბაშიძე, გველესიანი, გომელაური, ყარალაშვილი, მირიანაშვილი, სარაჯიშვილი და ჩერქეზიშვილი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო მოსკოვის მასწავლებელთა საზოგადოების ქალთა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს ივნისის დამლევს ჩამოვიდნენ ტფილისში, ამიერ-კავკასიის დასათვალიერებლად. ექსკურსიაში შედის 28 მოწაფე და 5 მასწავლებელი.

## სასამართლო

◆ **ივ. გველესიანის საქმე.** 27 ივნისს ტფ. სასამართლო გაარჩევს სტუდენტ ივ. დავ. გველესიანის საქმეს. სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-132 მუხლის მეორე ნაწილის ძალით. ბრალდება რევოლუციონურ ხასიათის წიგნაკების სახლში შენახვა იმ მიზნით, რომ შემდეგ ხალხში გაევრცელებინა.

◆ **გიმნაზიელ თომა ხარაზოვის გატაცების საქმის გარჩევა** დანიშნულია კავკასიის სამხედრო სასამართლოში 10 ივნისს. სამართალში მიცემულნი არიან: იაკობ ტატიშვილი, შალვა შევარდნაძე, ეფრემ გაბუნია და სხვანი.

## კავკასიის რკინის გზაზე

◆ **სად. სამტრედია.** დეპოს მუშამ დიომიდე სტურუამ დანით ყელი გამოიჭრა დახმარება დროზე აღმოუჩინეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

◆ 10 ივნისს რკინის გზის სათეატრო დარბაზში მოხდება კრება, რომელიც შეიმუშავებს საკითხს სადგურ სამტრედიიდან ქუთაისამდე რკინის გზის მოსამსახურეთა ქუთაისში მოსწავლე შვილების მიმოსვლის გასაუმჯობესებლად ხაგანგებო მატარებლის დანიშვნის თაობაზე.

## პროვინცია

◆ **სიღნაღი.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ბოდბის-ხევის ბიბლიოთეკის გამგეს ბ-ნ ნაცვლიშვილს, სიღნაღში წარმოდგენა გამართოს ხსენებულ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

◆ **ბორჩალოს მაზრაში** სოფ. ორუზმანის მცხოვრებს მამედ-ფაშა-ოღლის და მის მამიდას ფატმას ფალდაშის ტყის გზაზე დახვედრია 4 შეიარაღებული მძარცველი და წაურთმევიათ: ფული, ტანისამოსი და ცხენები. ამავე ტყესთან გაუძარცვავთ ნემეცების კოლონიის ეკატერინენფელდის მცხოვრები იოსებ კრამერი, რომლისათვისაც წაურთმევიათ ფული, ცხენის შეკაზმულობა, ადვირი, ტანისამოსი და საათი.

## ბაქოს ქალაქის უკანასკნელ არჩევნების გამო

უკვე უწყის მკითხველებმა, რომ ბაქოს ქალაქის არჩევნები კურიოზულად დასრულდა. ასარჩევი იყო 80 ხმოსანი. წინასწარ შეთანხმებით უნდა აერჩიათ ხმოსნებად მუსულმანები—42, სომეხი—20 და რუსი (ამათში შედის ყველა სხვა ერებიც) 18. სამივე ეროვნების წარმომადგენელნი შეთანხმდნენ და პირობა მისცეს ერთმანეთს, რომ წინასწარ შედგენილ სახმოსნო სიებს მისცემენ ხმას. ამ რიგად საქმე გათავებულად ჰიაჩნდა ყველას, მაგრამ არჩევნების შედეგი სულ სხვა გამოვიდა. არჩეულ იქმნა მუსულმანი—34, სომეხი—15 და რუსი—3. რუსებში არჩეული გამოდგა: თავ. დადიანი (ქართველი), ბ. მანჩო (მოლდავანი) და ბ. ირეცკი, ბაქოს ქალაქის თავად ნამყოფი—ადგილობრივი მემამულე. ამ რიგად რუსებს ნება ჰქონდა ეთქვათ, რომ არც ერთი რუსი არ აირჩიეს. რუსები გაჯავრდნენ და მუქარას მიჰყვეს ხელი. საზოგადოებაშიც შეიქმნა ამაზედ ლაპარაკი და ადგილობრივმა პრესამაც ხმა ამოიღო, მაგრამ სიმართლის თქმა ყველას ეძნელება. ვინც მიიღებს სახეში წინანდელ არჩევნების ხრიკებს (ამაზედ ჩვენ ამას წინად ვსწერდით) და უკანასკნელი არჩევნებისათვის წინასწარ რუსის ამომრჩევლების კრებებს, მისთვის აქ გაუგებარი არაფერია. საჭიროა გულწრფელი სჯა საგანზე და პოლიტიკანობის უკუგდება.

წინა წერილში ჩვენ ვსწერდით, რომ საარჩევნო ბლოკი ჰქონდათ შეკრული სომხებსა და რუსებს და მცირე ნაწილს მუსულმანებისას, წინააღმდეგ მეორე მხარისა—უმრავლესად მუსულმანთა, რომლის სათავეში იდგა ტაგიევი.

იმ არჩევნებმა, როგორც უკვე იცის მკითხველმა, ნაყოფი ვერ მოიტანა, რადგან რუსებმა ბლოკის სომხები მოატყუეს, თავიანთ კანდიდატებს თეთრი მისცეს, ხოლო მოკავშირე სომხებს-ყველას შავი. ამ რიგად რუსების უმეტესობა გავიდა, ხოლო სომხები ერთიანად გაშავდა. მიუხედავათ ამისა ის არჩევნები დაიშალა.

ახალი არჩევნები სხვა ნაირად მოეწყო. შეთანხმდნენ მხოლოდ კანდიდატთა რიცხვზე, ხოლო სიებს ყველა ეროვნება დამოუკიდებლად ადგენდა. ყველა ეროვნება დამოუკიდებლად მართავდა ამრჩეველთა კრებებს და თათბირობდა. რიცხვთა შორის, არჩევნების წინა ღამეს, რუსების ამრჩევლებმა, ნავთის მრეწველ ბენკენდორფის მეთაურობით, მეზღვაურთა „კლუბში" გამართეს კრება. ამ კრებას მეც დავესწარი, თუმცა ამრჩეველთა სიაში არ ვიყავი, მაგრამ როგორც პრესის წარმომადგენელი ნება მომცეს კრებაზე დასწრებისა.

ამ კრებაზე უნდა შემდგარიყო სია რუსის სახმოსნო კანდიდატებისა, მაგრამ სამწუხაროდ მათდა (რუსებისა) სწორედ ეს კრება გამოვიდა მათი დამღუპველი. ღმერთო, ჩემო! რა სიტყვები აქ არ წარმოითქვა, რა აზრის ხალხს მოეყარა აქ თავი. დაავიწყდათ მათ ყოველივე ნატამალი ზრდილობისა და ტაქტისა. „ნუ დაივიწყებთ,—ამბობდნენ ისინი—რომ ადგილობრივი მცხოვრებნი, განსაკუთრებით სომხები და მუსულმანები ჩვენი ქვეშევრდომები არიან და ნუ თუ მაგათ უნდა გვიჩვენონ ჩვენ ქალაქის თვითმმართველობაში ჩვენი ხმოსანთა რიცხვი? პირიქით ჩვენ უნდა უბრძანოთ მათ.... არ უნდათ გაიგონ მაგათ, რომ ჩვენ (რუსებმა) გამოვიღვიძეთ და შორს არაა ის დრო, როდესაც ჩვენ ბოლოს მოუღებთ „ინოროდცების" ბატონობას. რუსების ამომრჩეველთა რიცხვის გათანასწორება სომხებსა და თათრებთან შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა მისცემს ხმის უფლებას მხოლოდ რუსის ბინის დამქირავებელთ. ამას მოვითხოვთ ჩვენ და უარსაც ვერავინ გვეტყვის" და სხვა....

ასეთი სიტყვები წარმოითქვა კრებაზედ ყველასაგან ცნობილ ნავთის მრეწველ, ძველ ლიბერალ და ქველმოქმედ ბ-ნი ბენკენდორფისაგან. შესაფერ ბანს აძლევდა სამთო ინჟინერი ბ-ნი კნიაზევი, პედაგოგი ფილიპოვი და სხვანი.... ასეთი მაყრული ცოტაოდნად დაარღვია თ-დმა დადიანმა, რომელმაც შენიშნა ასეთი მსჯელობის უტაქტობა და უდროობაც. შენიშნა ისიც, რომ ბინის დამქირავებელთ სამართლიანია მიეცეთ ხმა, მაგრამ არა მარტო რუსებს, არამედ ყველასო. ბოლოს შესდგა სიაც, მაგრამ ამ სიაში, გარდა სამისა (დადიანი, მანჩო და ირეცკი), რომელთაც ძალაუნებურად უნდა შეეტანათ სიაში, ყველანი ბენკენდორფის თანამოაზრენი მოჰყვნენ.

რუსების ინტერესების დამცველად და ქომაგად გამოვიდა გაზეთი „ბაკუ", რომელსაც წინა არჩევნების შემდეგ პურიშკევიჩმა მიმართა ცნობილ დეპეშით, რომელსაც პასუხი მისცა ექიმმა ზახარიანმა. ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი ტფილისში კარგად ცნობილი ვერმიშევი უხვად აფრქვევს ცრემლებს რუსების გაშავებაზე და მისივე რჩევით უარი განაცხადეს ამორჩეულმა სომეხმა—ხმოსნებმა თანამდებობაზე. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ვერმიშევს სხვა რამ აწუხებსო.

ეს კი მართალია, რომ ვერმიშევი დიდის ხმის უმეტესობით გააშავეს. საზოგადოდ ყველა დარწმუნებულია, რომ ვერმიშევი და კ. ხატისოვი ვერაოდეს ბაქოს ქალაქის ხმოსნობას ვერ ეღირსებიან. მე თვითონ შევეკითხე ზოგიერთ მუსულმანთა წარმომადგენელს, რა მიზეზია რომ ხატისოვი და ვერმიშევი გააშავეს-მეთქი და პასუხად ის მივიღე, რომ ბაქოს საზოგადოება მათ იცნობს, როგორც სომხებთა პურიშკევიჩებსო და არა მგონია ისინი ოდესმე გავიდნენ ხმოსნადაო. ეხლა, როდესაც ვერმიშევმა თავს იდვა რუსების მფარველობა და თავის გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუთმო ისეთ წერილებს, რომელთაც პროვოკაციონური სუნი უდის, შემხვდა იგივე პირი და მითხრა: ეხლა ხომ დარწმუნდი ვერმიშევის ვინაობაშიო. რუსების შესახებ იგივე მუსულმანი ამბობს: „ჩვენ რუსების საწინააღმდეგო არა გვაქვს-რა. შევპირდით 18 ადგილს და კიდეც ავირჩევთ, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩვენ უთუოდ ისინი უნდა ავირჩიოთ, ვისაც „რუსთა კავშირი" დაგვისახელებსო".

მოსალოდნელია, რომ ეს არჩევნებიც ჩაიშალოს, ახალი კი შემოდგომამდე აღარ იქნება. ისიც მოსალოდნელია, რომ ხელ-ახალ არჩევნებზე სომხებმა წააგონ, რადგანაც მათმა ორპირმა მოქმედებამ ბევრი ჩააფიქრა.

**ხპათავგარელი.**

## პატარა ფელეტონი

ფრიად საგულისხმო წერილი დაიბეჭდა „კოლხიდის" მე-65 ნომერში **ბ-ნ ივ. ვართაგავასი** („რა გვაკლია?")

# ალაზნის მარცხენა სანაპიროს ახალშენები

**ჭიაურის აგარაკი.**

როცა, ამ ორიოდე თვის წინად, დეპუტატმა თ. შერვაშიძემ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საყვედური განუცხადა მთავრობას ამიერ-კავკასიაში გადასახლების პოლიტიკის წარმოების გამო, რადგან, შარვაშიძის სიტყვით, ამიერ-კავკასიაში მცხოვრები თვით უმიწობით სივიწროვეს და გაჭირვებას განიცდის, მთავრობის წარმომადგენელმა დეპუტატს პირში ბურთი ჩაუდო და თავის გასამართლებლად მიუთითა ოფიციალურ განკარგულებაზე, რომლის ძალითაც, მართლაც, კარგა ხანია აკრძალული ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო ალაგებზედ საიდანმე ვისიმეს გადმოსახლება. ვინც არ არის ჩახედული რუსეთის დღევანდელ მართვა-გამგებლობის პოლიტიკაში, ის უეჭველია იფიქრებს, რომ დეპუტატმა მთავრობას დიდი ცილი შესწამა; მაგრამ ვინც კი პატარა ყურადღებით ეკიდება რუსეთის დღევანდელ ცხოვრებას და მისი მმართველ წრეების მოღვაწეობას, იმას კარგად ეცოდინება, რომ კანონიც, ოფიციალური მთავრობაც და მისი ოფიციალური განცხადებანიც მხოლოდ შირმაა. მთავრობის წარმომადგენლის მიერ დეპუტატ შერვაშიძის საპასუხოდ ოფიციალურ განკარგულებაზედ მითითებაც სწორედ ამავე შირმად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მიუხედავად ამ განკარგულების არსებობისა, გადმოსახლება მაინც დღესაც შეუყენებლად სწარმოებს, რის საუკეთესო მაგალითად ჭიაურის აგარაკის ახალშენები უნდა ჩაითვალოს.

აგარაკი ჭიაური მდებარეობს ალაზნის მარცხენა სანაპიროზედ. იგი იწყება ამ მდინარის სანაპიროდან და მიდის კავკასიის მთების კალთებამდის, დასავლეთით საზღვრავს კაბალის აგარაკი—თ. ვაჩნაძეების საგვარეულო მამული და აღმოსავლეთით ზაქათალა. სივრცით უდრის 38.000 დეს., რომელთაგან 4.000 ეკუთვნოდა თ. დ. ჩოლოყაშვილს, შემდეგ გადასცა საგლეხო ბანკს, ასი დესეტინის გარდა, რომელიც დღესაც მას ეკუთვნის. საგლეხო ბანკიდან კი ზოგი ქიზიყელმა გლეხობამ შეიძინა, 500 დეს.—იმერლობამ, რომელთაც გააშენეს ს. კავშირი და 800 დესეტინამდის კი ამ ჟამადაც გასასყიდია. ამის გარდა 38,000 დესეტინიდან 827 დეს. ეკუთვნის სხვა წვრილ კერძო მესაკუთრეებს, როგორც მაგ., გამრეკელს—90 დეს. და სხვ.; დანარჩენი კ. ი. 33 ათას დესეტინამდის ითვლება სახელმწიფო საკუთრებად. ისტორია ამ აგარაკისა იგივეა, რაც ლელიანისა და კაბალის *) აგარაკებისა. მხოლოდ დღევანდელი მისი მდგომარეობა ბევრად განირჩევა ამათგან; მაშინ, როცა პირველი ორი აგარაკი, თუ მთლად არა—მომეტებული წილი მაინც—გაოხრებულია და მათი ოდესღაც თვალწარმტაცი ტყე ნაქაჩლარს მოგაგონებთ, ჭიაურის აგარაკი საუცხოვოდ არის დაცული.

ჭიაურის აგარაკი, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ჟამად შეადგენს სახელმწიფო კუთვნილებას და არა საკუთრებას, რადგანაც სახელმწიფოს უფლება შეზღუდულია ქიზიყელების უფლებებით ამავე ჭიაურის აგარაკში (сервитутное право).

ქიზიყი მდებარეობს ალაზნის მარჯვენა სანაპიროს, სიღნაღის მაზრის აღმოსავლეთ-სამხრეთ ნაწილში ქ. სიღნაღის კალთებზე და აგარაკ ჭიაურის გამოსწვრივ; შესდგება 12 სოფლის საზოგადოებისაგან და 50,598 სულის მცხოვრებისაგან. ქიზიყელნი ძველადვე თავისუფალნი იყვნენ, მათთვის ბატონ-ყმობის გამხრწნელი ძალა უცნობი ხილია; ამიტომ შედარებით სხვა კახელ გლეხებთან მეტად დამოუკიდებელ ხასიათისა არიან, ეკონომიურადაც თავის დროზედ უკეთეს პირობებში იყვნენ; დღევანდლამდის შერჩენილია თემობრივ მიწის მფლობელობა, თუმცა ამ ჟამად სხვა და სხვა მიზეზების გამო ხშირია სურვილი ცალკე გამოყოფისა. ერთ-ერთ მიზეზად და ამასთან უმთავრესად უნდა ჩაითვალოს დღევანდელი მათ მიერ განცდილი მიწის სივიწროვე; მართლაც, წინედ თუ ქიზიყელები, როგორც სახელმწიფო გლეხები, თავისუფლად სარგებლობდნენ მათ გარშემო გადაჭიმულ ველ-მინდვრებით, დღეს ეს თავისუფალი ალაგები სულ შემოეძარცვა მას შემდგომ, რაც ენერგიულად შეუდგა მთავრობა სიღნაღის მაზრაში კოლონიზაციის საქმეს. მიწის შემცირებას ხელი შეუწყო აგრეთვე ქიზიყელთა გამრავლებამაც, რომელთა რიცხვი კამერალურის აღწერით არ აღემატებოდა 30,000 სულს, რაც დღევანდელთან შედარებით 20,000 ნაკლებია. ასე რომ დღეს ზოგიერთ სოფელში მცხოვრებთა რიცხვმა იმდენად იმატა, რომ თითოეულ ქიზიყელის თავზე მოდის 1,9 დესეტინისა; ეს გარემოება აიძულებს ქიზიყელს სახნავ-სათესი მიწები გარეშედ ეძიოს და ამისთვის ხშირად სამუშაოდ 20—40 ვერსის სიშორეზედ იაროს. კარგა ხანია ქიზიყელი ჩააფიქრა ამ სახიფათო მდგომარეობამ და შეუდგა სხვა და სხვა ზომების მიღებას, რათა ის ადგილ-მამული მაინც, რომელიც მას ისტორიულადაც და დღევანდელი თავისის უფლებების ძალითაც მისთვის უფრო უპრიანი იყო შეენარჩუნებინა. ის ადგილ-მამული, რომელსაც ქიზიყელებმა მიაქციეს თავისი ყურადღება, არის აგარაკი ჭიაური, რომლიდანაც დაწყიდაბადებულად სარგებლობდნენ შეშით და ხის მასალით თანახმად თავიანთ უფლებებისა. ზოგიერთმა უმიწობით მეტად შევიწროვებულმა ქიზიყის სოფელმა განიძრახა ამ ადგილებში გადასახლება და ამის განსახორციელებლად ამოირჩია კანონიერი გზა. ჯერ კიდევ ალექსანდრე მე-2-ეს მიართვეს თხოვნა ქიზიყელებმა, სადაც ისინი მოიხსენიებდნენ რა თავიანთ უმიწობით მეტად შევიწროვებულ მდგომარეობას და მოაგონებდნენ რა თავიანთ თავგანწირულ ბრძოლას რუსის ჯართან ერთად კავკასიის მთიელებთან ომების დროს, სთხოვდნენ მოეხდინა განკარგულება, რათა მათთვის მიეცათ საცხოვრებელი ადგილ-მამული ჭიაურის აგარაკში; ასეთივე თხოვნა განუმეორეს ალექსანდრე მე-III-ეს 1888 წ., რომელმაც ეს საკითხი გადასცა განსახილველად ადგილობრივ მთავრობას. ამის შემდგომ მიდიოდა ხანი, კოლონისტთა რიცხვი სიღნაღის მაზრაში დღით-დღე იზრდებოდა და ქიზიყელთა მდგომარეობა კი ერთი-ათად უვარგისდებოდა. საქართველოს გლეხობის აუტანელმა მდგომარეობამ ერთხელობა ადგილობრივი მთავრობა კოლონიზაციის პოლიტიკით გატაცებული თითქოს გონზედ მოიყვანა და აიძულა, რომ ძალიან არ შეეტოპა, ოფიციალურად აღკრძალა ამიერ-კავკასიაში ვისიმეს გადმოსახლება; ეს იყო 29/III—1905 წელს, მაგრამ მოგეხსენებათ „სიტყვა სხვაა—საქმე კიდევ სხვა". არ გასულა მას შემდგომ დიდი ხანი და გადმოსახლებამ ხელმეორედ იჩინა თავი და სულ ამ სამიოდ (1905—8 წლამდის) წლის განმავლობაში ჭიაურის აგარაკი*) მთლად გაივსო რუსეთიდან გადმოსახლებულებით.

მართლაც, სულ ამ მოკლე ხანში ჭიაურის აგარაკში მცხოვრებთა გამრავლების მხრივ ფრიად დიდი ცვლილება მოხდა; თუ ამ 6—7-იოდ წლეების წინედ ალაზნიდან დაწყებული საფოსტო გზით ზაქათალამდის სულ ორ სოფელს შეხვდებოდით, დღეს მათი რიცხვი ერთი ათად გადაიქცა. აქ ამ ჟამად ჭიაურის აგარაკში რვა ახალი სოფელია გაშენებული, რომელთაგან მხოლოდ ერთია ქართველებით დასახლებული, დანარჩენნი კი სულ რუსეთის სხვადასხვა ალაგებიდან არიან გადმოსახლებულნი; თვითოეული სოფელი განზრახულია განსაზღვრულ რიცხვ მეკომურთათვის, თითო სულ

*) იხ. „სახალ. გაზ." № 77, 1910 წ. და 263, 1911 წ.

*) ჭიაურის აგარაკში თუმცა თავისუფალი დასახახლებელი ალაგი არ იყო, მაგრამ ამისთვის ტყეები გააკაფინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

## არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:

# „ჩვენი საზოგადოებრიობა".

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტური წერილები, წინასიტყვაობით და ავტორის სურათით. წიგნი დაახლოვებით იქნება 250 გვ. და 1 ივლისამდე ვინც ხელს მოაწერს მათთვის ეღირება 40 კ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის" რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს.

(20—1326—3)

* *
*

არა ერთი მზე ჩაესვენა ჩემის სულისთვის,
არა ერთს იმედს გავუთხარე შავი მიწა მე;
შემომქმედ ხელით დავამსხვრიე ადამთა კერპი,
როს მან მრისხანედ შემომძახა: ღმერთად მიწამე!
ჭაობის გროვა შეძრწუნდა და იწყო სისინი,
ერთმანეთს დრტვინვა, ბოღმით სავსე, გაუზიარეს;
მსურდა გასრესა, მაგრამ იხსნა ღრმა სიძულვილმა:
ძველი ბილიკი გესლის ნთხევით გადაიარეს.
მათ უკან მიჰყვნენ მეგობარნი, ხოტბის მძებნელნი,
დღეს პირფეროზის ჩანგს აჟღერენ, იცრემლებიან;
დამპალს ფუტუროს მიჰმართავენ, თავს აფარებენ,
მხოლოდ და მისგან ღამით მკრთალ შუქს ელოდებიან.
ჩემი გრიგალი არყევს მათსა ხეს ცნობადისას;
ცოცხლად დამარხულთ ძვლებს უნგრევს და ანიავებს;
ჰშიშობენ:—სულში ჩამომხედონ—ნათელ უბსკრულში,—
რადგან იქ მარად გარდაუქმნელი ცეცხლი ბრიალებს.
ისმინე, ვისაც ყური სმენად თან დაჰყოლია:
მძულხარ, ვიდრემდის თვით სიძულვილს არ შეიყვარებ;
ვიდრე მონის სულს არ ჩაჰკლავ და არ მოინანებ,
ვიდრე თვით შენში სრულ სამოთხეს არ დაიმყარებ!
მანამდის კიდევ თქვენთვის მხოლოდ სიკვდილს ვქადაგებ.
დე, განიმარგლოს ბაღი, ესრედ აწ გულსაკლავი;
ახლო მომავლის სხივით შემკულ განთიადამდე,
განწმენდის ნიშანს ჰღაღადებდეს ცივი საფლავი!..

ციურიხი. ა. შანშიაშვილი.

პატივცემული ავტორი ჩვენი ცხოვრების სიმწარეს ეხება და, სხვათა შორის, ამბობს:

„ილია მოგვიკლეს, აკაკი „მოგვიხუცდა". სად ჩანან მათი მოადგილენი? წინსვლის ნაცვლათ უკან დახევა, ჩამორჩენა გვატყვია...

„ენა შეგინებული, მწერლობა დაუძლურებული..."—გოდებდა 30 წ. წინედ გრ. ორბელიანი. დღეს განა შეგვიძლია შევცვალოთ ეს ფრაზა?!."

სავსებით დავეთანხმებოდით პატივცემულ იპ. ვართაგავას, „კოლხიდის" იმავ ნომერში მოთავსებული ფელეტონი რომ ადასტურებდეს მის მოსაზრებას.

იქ კი, იმ ფელეტონში, დაბეჭდილია ბ-ნ სილოვანის „აკრძალული სამოთხე" (ნაწყვეტები პოემიდან).

ეს „აკრძალული სამოთხე" რომ გადაეკითხნა პატივცემულ იპ. ვართაგავას, იმედია, ასეთ სასოწარკვეთილებას აღარ მიეცემოდა და ჩვენთან ერთად ქართველ საზოგადოებასაც სევდას განუფანტავდა, ანუგეშებდა:

„თუ ძველნი აღარ გვყავნან, სილოვანი ჩვენიაო".

მართლაც, ბ-ნ სილოვანის „აკრძალული სამოთხე" იმდენად საგულისხმოა, იმდენი ხელის-ხელ საგოგმანებელი სანიმუშო მარგალიტებია იქ უნაზეს პოეზიისა თუ წმინდა ქართულისა, ისეთი წარმტაცი მხიბლავი აფროთოვანებაა, რომ არ შეგვიძლიან ნაწყვეტები მაინც არ ამოვწეროდ და მკითხველთა სათუთი სმენა ამ ჰარმონიით არ დავატკბოთ.

პოეტი ასე აგვიწერს „ბუნებას" (დილა)":

მოისმა შაშვის ჭუკჭუკი,
ბულბულის სტვენა, გალობა,
მერცხლის ჭიკჭიკი, სხვა ფრინველთ
ჟივილ-ხივილი, ხარობა,
ნავარდი, ფრენა, რომ საზდო
სძებნონ, ბუნების წყალობა...
ყველას აცოცხლებს, ახარებს
სინათლე, მზისა დარობა!..

„შაშვის ჭუკჭუკსა" და „ხარობას" თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ, თურმე, ირემი ტყეში ხან ჩრდილოში წევს, ხან—მზეზე, როცა მოჰშივა—ფოთოლსა „სწიწკნის", როცა მოსწყურდება—წყალსა ჰსვამს.

ხან ჩრდილში წვება, ისვენებს,
ხან მზის სხივებში ეხვევა...
როს შია—ფოთლებს მოსწიწკნის,
სწყურია—წყაროს ეწვევა...
მაგრამ ამასაც როდი კმარობს
„თამაშობს ალერსს ეწევა".

ბაკურიანში, სადაც პოეტს ასეთი ზეშთაგონება მოჰსვლია, უცხო რამ „ფრთოვანი" ნაძვი და ფიჭვი იზრდება თურმე:

ფიჭვი და ნაძვი ამაყათ
ცაში ასულა ფრთოვანი!"

და ჰაერი ხომ არის ისეთი მკურნავი, „რომ გაყმაწვილდეს მცხოვანი". ამისთანა ჯადოსან ჰაერს, რა თქმა უნდა, ბ-ნი სილოვანიც გაუყმაწვილებია:

ნაძვი ფიჭვს მისდევს, ფიჭვი—ნაძვს,
ორივ თანტოლათ იზდება;
მწვერვალი მწვერვალს ეხვევა,
ხან საკოცნელათ მისწვდება...

არამც თუ ბ-ნი სილოვანი, თვითონ მწვერვალნიც კი ისე „გაუყმაწვილებია" ბაკურიანის ჰაერს, რომ ერთმანეთს საკოცნელადა სწვდებიან.

ამ მართლაც დიდებულ სურათს წარუტაცნია პოეტის გული და განაგრძობს.

მე მათ შევცქერი—და გული
ტრფობის სალბუნით მითფება..
მათ ჩურჩულს, ალერსს მხოლოდ-და
შეყვარებული მიხვდება!..

ბ-ნი სილოვანიც, ვითარცა შეყვარებული, ბუნების ამ საიდუმლოებას ჩასწვდენია, შესცქერის „სავსე ვნებით მთრთოლვარე ტანს" (?) და აღტაცებაში მოდის:

თავისუფლება ნანატრი
აქ, მხოლოდ აქლა ტრიალობს!..
ტყისა შტოები, ფოთლები
მიწყივ ალერსით შრიალობს...
გუგული გუგულს ეძახის:
„გუ-გუ! მო, ჩემთან მოდიო!"..
მამალს ხმა ესმის—და მიდის:
—„აჰა, რო მეძახოდიო!..

შედევრია! განმარტება მხოლოდ შთაბეჭდილებას დაასუსტებს.

პოეტი გულ-ნატკენია, რომ გუგული გუგულის ძახილზე მამლის სახით ევლინება მას და ეუბნება,—„აჰა, რო მეძახოდიო",—ხოლო „საგანი" კი, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან, მიუკარებელი რამ არის:

ჰე, სანეტარო საგანო,
თავისუფლებავ გრძნეულო,
კეთილშობილთა გულთაგან
მარად ამაოდ წვეულო,
ბოროტებისა ბურუსში
დამხრჩვალო, გამოხვეულო!..
შენ სწამლავ ქვეყნის ამ ნექტარს,
ადამიანო წყეულო...

ადამიანის ასე ღირსეულად შესამკობად საბუთიცა ჰქონია ბ-ნ სილოვანს:

მეც ამ ცხოვრებით ვიწამლვი,
მითა ვარ გულით მახვრალი...
მგელ-კაცებისგან, როგორც სხვებს,
მეცა ტყავი მაქვს გამძვრალი.

აქ, წამოსასხამ ქურქზე (დურა ტყავზე), რომ იყოს ლაპარაკი, კიდევ არაფერი, მაგრამ წარმოიდგინეთ პოეტის ნაზი, სათუთი კანი, და—ისიც გამძვრალი!..

საშინელი სურათია!

მაგრამ პოეტის ტრაგიზმი უფრო ათკეცდება, როდესაც ქვემოდ ჰკითხულობთ:

უგუნურ მეგობართაგანაც
მხვდება თან ხელი მახვრალი.

მართლაც და არ გებრალებათ ტყავგამძვრალი პოეტი, რომელსაც თუმცა „უგუნურ მეგობართაგან", მაგრამ „მახვრალი" ხელი მაინც (თან) ჰხვდება.

პოეტი შემოგვჩივის:

და სახლში რომ ვერ გავძელი,
ტყეში მივდივარ მაშვრალი!

ტყეში გაჰრილი პოეტი ავთანდილივით მიჰმართავს, ბუნებას კი არა მხეცებს:

ჰე, მხეცნო, ტყისა ნადირნო,
„მოდით და მოიჯარენით"!
მე თქვენთან ყოფნა მირჩევნის:
თქვენ არ მომწამლავთ მწარ-ენით.

პოეტი უფრო იმიტომაა „წყეულ ადამიანზე" გაბოროტებული, რომ იგი მის სათაყვანო ტყესა სჩხავს. იგი ხალხში ცხოვრებას ვეღარ უძლებს:

არ მინდა ხალხში ცხოვრება!..
ტყეში მოვიწნავ კარავსა,
ფოთლებისაგან შევკერავ
ტანისა დასაფარავსა,
ვსჭამ მაყვალს, მარწყვსა, ჟოლოსა—
არც საცარცვს, არ საპარავსა—

პოეტს ავიწყდება, რომ „კარავის მოსაწნავათ" იმავ „ტყეს" უნდა ჩამოაცალოს „შტოები"...

თუმცა ასეთ მდგომარეობაში მყოფს და მით უმეტეს ტყის მოსიყვარულე მგოსანს, რა თქმა უნდა, ეპატიება სატრფოსაგანაც რაიმე მსხვერპლი შეიწიროს.

ბუნება ხომ ყველა გენიოსთა სევდის გადამყრელი წიაღია და ტყავგამძვრალი პოეტიც იქით მიაშურებს, მით უმეტეს, რომ

როს მომწყურდება, წყაროს ვსვამ,—
კლდიდან სდის ჩხრიალ-ღიღინით;
თავს ყვავილებში შევიქცევ
მწერთა ზუზუნით, შიშინით;
ხან უცხო კონცერტს მოვისმენ
ფრინველთ გალობით, წაწინით.

პოეტი ეთაყვანება მის შემხიზნელ ტყეს და მის იდუმალ ფეთქვას ასე აგვიწერს:

ზოგჯერ შრიალობ, მოისმის
თითქო მდინარის დუდუნი,—
მახ ერთვის უცხო ნანინა,
ვსთქვა—ტრედის ტკბილი ღუღუნი;—
ხან კუთვა, კვნესა, ტირილი,
შიშინი, გმინვა, ზუზუნი...
საერთოდ—გრძნობის დამთრობი
გუგუნი, ტკბილი გუგუნი!..

მაგრამ წარმოიდგინეთ პოეტის სასოწარკვეთილი სულის კვეთება, როდესაც მის სათაყვანო ტყეს, დაღამების დროს, დასავლეთიდან „ზღვა-ცეცხლი" ედება.

გამწარებული პოეტი მიჰმართავს უჩინარ ძალებს (აბა, „წყეულ ადამიანს" ხომ ვერ მიიკარებდა!) და მოუწოდებს:

მიშველეთ, გადამირჩინეთ
სატრფო, მწველ ცეცხლში მდებარე!..
ოჰ, რა ვქნა? გულის მეგობარს
ვერ ვეხმარე, ვერცა ვეფარე...
საშველათ მივრბი... ეგ სად ვარ,
რა სურათისა მხედვარე?!..

ჩვენდა საუბედუროდ და პოეტის საბედნიეროდ აღმოჩნდება, რომ ტყეს „ზღვა-ცეცხლი" კი არ მისდებია,—ეს მხოლოდ მხატვრული ფერადები იყო თურმე—და იგი გულს ითათბირებს:

გულო, დამშვიდდი! ეს თურმე
მზე, მზე ყოფილა მგზნებარე!..

მზე, რა თქმა უნდა, არ შეეხებოდა „თავის შობილს", მით უმეტეს, რომ მზე არის:

სითფო, სინათლე ქვეყნისა,
დამშვენებელი გარსისა...
ადამიანი—აი ვინ
აოხრებს ტყეს, მთას, ბარს—ისა!..

მარტო ეს „ისა" ერთ ქალაქადა ღირს! ასეთი მარგალიტი „ლევანისა და მტევანის" შემოქმედსაც შურს აღუძრავდა!

აი, ამ „ისას" (ადამიანს):

დანანდა შენი (ტყის) სიქველე,
შენი სილაღე სვიანი,
შტოები ამოხმიანი,
მწვერვალი ქუჩუჩომიანი...

როგორ მოგწონთ ეს „ქუჩუჩომიანი", შიდა გუბერნიებიდან ჩამოსულ, ახლად ატიტინებულ რუსს არ მოგაგონებთ?..

ასეთ სურათის მომზირალი პოეტი ფილოსოფიურ ფიქრებში წავა და მერე თავისს მრწამსაც გვიზიარებს:

მიყვარს ბალახი, ყვავილი,
ხის ტანი, ტოტი, ფოთოლი,—
ლამაზი, მაგრამ უბრალო,
ვით მარგალიტი ობოლი.

ამაზე უფრო მეტად კი პოეტსა ჰყვარებია:

უბრალო ხაჭმელ-ხახმელი
შვლის: წყალი, ყლორტი თუ მაილი...
ხალხს კი რევს გაუმაძღრობა,
ბაბილონისა გოდოლი...

ასეთ ბაბილონის გოდოლის მერე, პოეტი ტყეს გულს გადუშლის და აღსარებას ეუბნება... მას ძალიან უყვარს ტყე, ისე უყვარს, ისე, ისე, რომ, ერთი სიტყვით ძალიან უყვარს და ეფიცება:

მიყვარხარ, ტყეო, მიყვარხარ!
შენ ხიბლავ ჩემს გულს, იმონებ...
შენ გეტრფი—და ხულ ამ სიტყვებს
ვიმეორებ და ვიგონებ.

მაგრამ პოეტი ეჭვში შედის, ვაი თუ ტყემ არ დამიჯეროს, რომ მიყვარსო და კვლავ უმეორებს:

მიყვარხარ, ტყეო, მიყვარხარ,—
შენა ხარ ჩემი ნუგეში...
მსურს—მარად გულში გეხვიო,
ვიყურო შენსა უბეში...

არ ვიცი დაუჯერა თუ არა ტყემ ბ-ნ სილოვანს მისი აღსარება, მით უმეტეს, რომ პოეტმა „მის უბეში არ იყურა", არამედ „კოლხიდის" ფურცლებზე საქვეყნოდ გახადა თავისი ტრფიალი ტყისადმი, მაგრამ მე კი ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ დრო არის ჩვენი ცხოვრების სიმწარეზე წუწუნს თავი დავანებოთ და საჯაროდ, ჩვენი ქვეყნის დაავადებულ გულის დასაამებლად დაღადვყოთ:

ჩვენცა გვყოლია გამოჩენილი, თითით საჩვენებელი პოეტი, რომელმაც უმწვერვალესად განაფაქიზა ქართული პოეზია და მუდამ ფხიზელ დარაჯად უდგას ქართულ ენის სიწმინდეს...

სახელი მისი—სილოვანი!

შალტი.

## თიანეთის მხრის ამბები

სამი წელიწადია რაც თიანეთის მაზრაში საავადმყოფოს გახსნაზეა ლაპარაკი აღძრული, და რამდენჯერმე ჩვენს გაზეთებშიაც იყო გამოთქმული აქეთ მხარეს საავადმყოფოს საჭიროება, მაგრამ ჯერაც ვერ ვეღირსენით მის დაარსებას, თუმცა მცხოვრებნი მოუთმენლად ელიან მის განხორციელებას. თიანეთის მაზრა არც ისე პატარა მაზრაა და არც ის შეიძლება კაცმა სთქვას, რომ მაზრაში მცხოვრებთ ექიმის დახმარება და მისი მნიშვნელობა არ ესმოდეთ; მრავალი მსურველია თავის ავადმყოფს ექიმი მიაშველოს, მაგრამ საიდან. ან უნდა ტფილისს, ან თელავს უნდა მიჰმართონ, რაიცა ძრიელ სამძიმო და მოუხერხებელია, რადგანაც, ზოგ სოფლიდან 40—50 ვერსი და მეტი გზა იქნება; ამას დიდი ხარჯი [illegible] ექიმისათვისაც საძნელოა ამ სიშორეზე სიარული. რა სარგებლობა უნდა, მოუტანოს ავადმყოფს მარტო ნახვით, თუ წამლებიც დროზედ არ მიეშველა? მართალია თიანეთში არის ხოლმე (ეს სამი თვეზე მეტია, რაც თიანეთში მაზრის ექიმი არ არის) მაზრის ექიმი, მაგრამა იმას თავისი პირდაპირი საქმეც ბევრი აქვს ხოლმე და აბა ვის რას გასწვდება? ამის გამოისობით საწყალი მცხოვრებნი, ნება უნებურად მკითხავ დალაქების ხელში ცვივიან. მაგალითებრ, სოფ. სვიმონიანთ-ხევში არის ერთი დალაქი; გახდება თუ არა ვინმე ავად გარბიან ამ დალაქთან, 40 ვერსზე. დალაქმაც კარგად იცის იმას იქით გზა არ აქვთ და უბრალოდ რად გაისჯება; ცხენი უნდა მიართონ და ერთი მანეთი ფეხის ქირა, წამლის ფასი რასაკვირველია სხვაა. მივა ავადმყოფთან თუ არა მაშინვე სისხლს გამოუშვებს ან თბილ წყალში უნდა ჩააწვენინოს; არგებს თუ არა, მისი საქმე არ არის, მაგრამ ავადმყოფის პატრონები ამითიც კმაყოფილდებიან და დალაქს ბევრი მუშტარი ჰყავს.

სამკურნალოს შესახებ წარსულ თვის 17-ს სოფელ საყარაულოში მოვიდნენ ტფილისიდან ორი ექიმი, თიანეთის მაზრის უფროსი ბ. განსკი და მოჰრიგებელი შუამავალი თ-დი ბარათაშვილი. ამათ საყარაულოში დაათვალიერეს საჭირო შენობები მომავალ საავადმყოფოსთვის: მაჭავარიანის, ქუთათელაძის და თ-დ ჭავჭავაძეებისა. შენობებს, რომელიც უნდა აირჩიონ, შეკეთება და მომატება დასჭირდება და რომელ შენობასაც აირჩევენ თავათ უფრო უწყიან. ჩვენის აზრით, თუ ს. საყარაულოში გახსნეს საავადმყოფო, თიანეთის მაზრის მცხოვრებთ დიდს სამადლობელს და სასარგებლო ხელმისაწვდენ საქმეს უზამენ, და თუ სხვაგან მოინდომებენ გახსნას, ან თიანეთში და ან ერწოში, მაშინ მცხოვრების მომეტებული ნაწილი ისევ მკითხავ-დალაქების ხელში დარჩება.

როგორც დანანდვილებით ვიცით, მოსალოდნელ საავადმყოფოთი უნდა ისარგებლოს 61-მა სოფელმა (ამაიში რამდენიმე სოფელი დუშეთის მაზრას ეკუთვნის). ამ სამოცდა ერთი სოფლის შუაგული ადგილი სოფელი საყარაულოა, ასე რომ ამათში, ოთხი-ხუთი სოფელი თუ არის 13—15 ვერსით მოშორებული საყარაულოზე, დანარჩენი კი სულ 5—8 და 12 ვერსზე მეტი მოშორებით ერთი სოფელიც არ არის, და გზაც საურმე თუ ცხენის ყველა მხრით მშვენივრად მოხვდება; უკეთუ საყარაულოს ააცდინეს და სხვაგან გახსნეს, მაშინ 20 და ზოგი 30 ვერსითაც დაშორდებიან სოფლები სამკურნალოს, და მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი ისევ მოკლებულნი იქნებიან საავადმყოფოს სარგებლობას.

ვაჟკაცზედ კი გადადებულია 4 დესეტინა. თუ ამ რვა ახალ სოფელს მიუმატეთ ორი ძველი რუსული სოფელი: ნოვო-მიხაილოვკა და ლაგოდეხი, მაშინ ქიაურის აგარაკში 10 შემდეგი სოფელი იქნება:

| სოფლების სახელები. | რაოდენობა ტერიტორიისა: |
|---|---|
| 1. ნოვო-ვორონცოვკა | 1116 დეს. |
| 2. ილარიონოვკა — | 757 „ |
| 3. დაშკოვკა — | 909 „ |
| 4. ნოვო-მიხაილოვკა | 787 „ |
| 5. ნოვო-ალექსეევკა | 730 „ |
| 6. რომანოვის-ხუტორები) და 7. ლაგოდეხი | (979,5 „ ) |
| 8. გრაფსკოე | 722 „ |
| 9. სასახლეში მოსამსახურეთ (дворцов. служ.) | 600 „ |
| 10. შრომა | 1168,8 „ |
| სულ ათს სოფელს მიზომილი აქვთ | 7.388,3 „ |

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს რიცხვი მიწისა ნავარაუდევია თითო სულ ვაჟკაცზე 4 დეს., მაშინ ამ ანგარიშით მთელ ქიაურის აგარაკში უნდა 1847 სული მამრობით სქესის მცხოვრები იყვეს და თუ ამდენვე სულს მდედრობითი სქესს მიუმატებთ, მაშინ მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით იქნება 3694. და თუ ამგვარისავე ვარაუდით 1168,8 დეს-ზე მცხოვრებ ქართველთა რიცხვი 484 გამოაკლით, საერთო რიცხვს მაშინ მარტო რუსობა შეადგენს—3110 სულს.

როგორც უკვე აღვნიშე, ეს რუსების ახალშენების სოფლები შემწკრივებულია სიღნაღიდან ზაქათალისაკენ მიმავალ გზის სანაპიროებზე; მომეტებულ წილთ დამთავრებული სახე აქვთ, ზოგი სოფელი კი ეხლა ეწყობა; სახლები თვითოეულ სოფელში გაშენებულია დაგეგმილ ქუჩებზე ორთავ მხრივ და ყველა სახლი ერთგვარი სახისაა, ორ ორი ოთახი რუსულის ტიპისა თეთრად გალესილი დაბალის ფანჯრებით, ფართე ეზოთი, სადაც მოთავსებულია სოფლისთვის საჭირო შენობები: როგორც შენობებისათვის საჭირო დახმარება ისე სასოფლო ინვენტარისთვის ფული ახალშენელებს მიღებული აქვთ ეგრედ წოდებულ „ახალშენთა სამმართველოსაგან" (переселенческое управленіе). ამავე სამმართველოს მიერ აშენებულია თვითოეულ სოფელში ქსენონი, სკოლა და საცდელი მინდვრები (ახალშენების ცხოვრებას თვალს ადევნებს სამმართველოს მიერ დანიშნული განსაკუთრებული მოხელე). მიუხედავად იმისა, რომ ახალშენებისთვის დიდი მზრუნველობაა გაწეული და მათთვის ყოველისფერი მზადაა, ოღონდ კი პატარა ხელის განძრევა მოისურვონ, მაინც მეურნეობას ბევრი არ ეწევა და მომეტებულ წილად თავის მინდვრებს შესამუშავებლად აძლევენ ქართველებს—ქიზიყელებს და იმერლებს, რომელთაგანაც პირველნი დიდის მოხერხებით და ცოდნით ეწევიან უმთავრესად მეთამბაქოობას, თვით რუსის ზოგიერთ ახალშენებს კი, მიუხედავად დიდის თვალყურის დევნისა, საქონელი გაუყიდნია და უმთავრესად სცხოვრობს გაცემულ მამულის შემოსავლით.

იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ესეთი მათი ქცევა აიხსნება იმით, რომ ჯერ ვერ მისჩვევიან ახალ ცხოვრების პირობებს. მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება, რადგანაც უმთავრესი მიზეზი სულ სხვა არის, სახელდობრ: ხსენებული რუსის ახალშენელები სრულიად გადაჩვეულნი არიან მძიმე შრომას. თუ აიღებთ რომელიმე სოფლის მცხოვრებთ, თქვენა ნახამთ თითქმის რუსეთის ყველა გუბერნიიდან მოსულს, რომელთაც შემოუვლიათ, სადაც კი თავისუფალი ალაგი ყოფილა, მაგალითად, ციმბირი, მაგრამ ადგილი ვერსად ვერ დაუდვიათ. შთაბეჭდილებას მეტად მოუსვენარი ხალხისას ახდენენ და მართლაც ზოგნი მათგანი განდევნილია თავის სოფლებიდან. ეხლაც, ერთმანეთში ვერა რიგდებიან და მუდმივ უსიამოვნება აქვთ; მაგ. ს. ალექსეევკაში ამ სამი წლის განმავლობაში ექვსი მამასახლისი ჰყავთ გამოცვლილი. ამ ახალშენთა შორის შესამჩნევ გამონაკლის შეადგენენ ს. ნოვაია-მიხაილოვკას და ლაგოდეხის მცხოვრებნი; ეს სოფლები დაარსებულია უკვე კარგა ხანია. აქ დაუსახლებიათ იმპერატორ ნიკოლოოზ I დროს 25 წლის შემდგომ ნამსახური ჯარისკაცები; ამ ორ სოფლებში მცხოვრებნი იმდენად გამოცვლილან, რომ ეხლანდელ გადმოსახლებულთან, თამამად შეიძლება ითქვას, მათ საერთო არა აქვთ რა. ეს არის, ევროპიულად აცვიათ, თორემ უფრო ქართველები გეგონებათ, ვიდრე რუსები. იმდენად კარგად ლაპარაკობენ ქართულად, რომ თავიანთ კრებებზედ ხშირად ქართულად მსჯელობენ; რაც შეეხება მათ ახალშენელებთან დამოკიდებულებას, ამ მხრივ ეს გაქართველებული რუსები ვერ ეგუებიან და ამის გამო ახალშენელებსა და ძველად დასახლებულთ შორის განუწყვეტლივი ჩხუბი და დავიდარაბაა ატეხილი. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სურდათ ახალშენელებსა და ქართველთა შორის მძულვარება ჩამოეგდოთ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. აი, სხვათა შორის, რა სთქვა ერთმა ახალშენელთაგანმა: „ტყუილად ცდილობდნენ შეეძულებინათ ჩვენთვის ქართველები; ეხლა აღმოჩნდა, რომ ისინი საუკეთესო მასწავლებლები არიან, და ვერავითარი საცდელი მინდვრები ისე ვერ გვშველიან, როგორც ეგენი გვასწავლიანო, ამასთანავე კარგი ხალხიც ყოფილა, განსაკუთრებით იმერლობა".

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ქიაურელ ქართველ ახალშენების ცხოვრება. ქართველებს მუდმივი ცხოვრება აქ დაუწყვიათ 1905 წელში, როდესაც მეტად შევიწროვებულ რამდენიმე ს. ჯუგაანელ კომლს გლეხს მიუტოვებიათ ქიზიყი და დასახლებულან ლაგოდეხამდის ერთის ვერსის მანძილზე. ახალ სოფლისთვის უწოდებიათ „შრომა". მთავრობას მათი დასახლება დაუკანონებია და კიდეც მიუცია ამ სოფლისთვის 1116 დეს. მიწა; მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს დაპირება დღესაც სიტყვით არის. რაკი ამ მამულით ვერა სარგებლობენ, და ვერა სარგებლობენ კი იმიტომ, რომ დღესაც მიწის მზომელი არ გაუგზავნიათ, რომელსაც უნდა დაეყო ეს მამული, ამის ცდაში კი მცხოვრებთ უხდებათ მუშაობა რუსების მამულზე. რაც შეეხება დანარჩენ დახმარებას მთავრობის მხრივ, ამაზე ლაპარაკი ხომ მეტია. მიუხედავად ამისა, მშრომელები არ შეშინებულან და ბევრს მათგანს საკუთარის შრომით მშვენიერი ორსართულიანი სახლიც აუგია; ფიქრობენ აგრედვე სასწავლებელზე. ჩემ აქ ყოფნის დროს გადაწყვეტილი ჰქონდათ დასახმარებლად მიემართათ ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისათვის *); აგრედვე ფიქრობდნენ ეკლესიაზედაც. რაც შეეხება დანარჩენ აქაურ ქართველების ყოფა-ცხოვრებას, სახელდობრ ს. მაციმ-ჩაის მცხოვრებლებისას თავის უპატრონობით და დაბრიყვებით, გაცილებით სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ს. მაციმ-ჩაი მდებარეობს 2—3 ვერსის სიშორეზე ლაგოდეხიდან ზაქათალისაკენ; აქ მცხოვრები ქართველები იგივე ქიზიყელებია და დასახლებულან ამ 3—4-დე წლის წინად; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს უფლებაც ჰქონდათ და სამართლიანობაც ამას მოითხოვდა, რომ თუ ვისმეს დაეთმობოდა ეს ალაგი ისევ ქიზიყელებს, მაინც ამათ ამის ნება არ მისცეს, და როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული,[2]) მათი აყრა ამ ადგილიდან გადაწყვეტილია. მხოლოდ ამ შემოდგომამდის აქვთ ვადა მიცემული, რის შემდგომაც უნდა რუსები დაასახლონ.

მრთველი.

*) როგორც გაზეთებიდან ვიცით, უკვე მიმართეს და იმედია ეს საზოგადოება მიიღებს აქ აწერილ შრომელების განსაკუთრებულ ცხოვრების პირობებს და აუცილებლად სკოლას გაუხსნის.

[2]) მაციმ-ჩაის ქართველების შესახებ დაწვრილებით მაქვს მოთხრობილი წერილში „ქიაურის აგარაკის ვითარება", იხილეთ „სახალხო გაზეთი" № 122, 1910 წელი, და ამიტომ აქ მეტად ვთვლი გამეორებას.

ბქეთ წელს საკვირველი გრილი და უგემური გაზაფხულია. ყოველ დღე წვიმაა; ყანები ბევრი ჩაყვითლდა, მომეტებულ ნაწილში ბალახმა გადაიარა და სასიმინდეების ხვნასაც აღარ ანებებს ხალხს.

დიდი წვიმებისგან ნიაღვრებმა ბევრგან შესამჩნევი ზარალი მისცა მცხოვრებთ. არც სეტყვამ დაგვტოვა და გადმოგვკრა თავისი მწვავე მათრახი. სეტყვა მოვიდა თიანეთში და მის ახლო-მახლო სოფლებში.

—

ძარცვა-გლეჯამ კვლავ იჩინა თავი. ამ თვის ოთხში შეუცვივდა სოფ. სიონში მცხოვრებს მედუქნე რევაზა დორეულს სამი შეიარაღებული კაცი, მიუღერეს ბერდანის თოფები—ხმა არ ამოიღოვო და, წაართვეს რვა თუმანი ფულად, რაც რამ მოახელეს დუქანში, სავაჭრო საქონელი ან გამოსადეგი რამ, სულ წაიღეს და მიიმალნენ.

წარსულ თვის 15-ში სოფელს დავათში მცხოვრებს ზავიადაურს შუადღისას შეუცვივდნენ ათამდე შეიარაღებული კაცი. დაუწყეს ცემა და მუქარა: „ჩქარა მოგვეცი რაც ფული გაქვს, თორემ შვილს მოგიკლამთო“. ზავიადაურს ცამეტი თუმანი ჰქონოდა მატყლის ბედ აღებული და მიეცა ყაჩაღებისთვის. მერე თავად ყაჩაღებს მოეხვეტნათ რაც რამ გამოსადეგი ყოფილიყო სახლში, აგრეთვე საბუთის ქაღალდები და ეთქვათ ზავიადაურისთვის: „ორმოცი თუმანი მოგვიმზადე და დაგიბრუნებთ შენს ქაღალდებსაო“. შემდეგ არხეინად გასდგომოდნენ გზას. ზავიადაურები ცოტა სოფლის მოშორებით ტყის პირასა სცხოვრობენ, ამიტომ მალე ვერავინ მიშველებოდა, და თავგასულთ—ყაჩაღებსაც არხეინად დაერბიათ ზავიადაური...

**ქართველი ოსებში ნამყოფი.**

# ალბანეთის აჯანყება

**დეპეშები**

7 ივნისი.

**ცეტინიე.** ამბობენ, ავსტრიის ელჩმა ჩერნოგორიის მთავრობას გადაჭრით განუცხადა: ნეიტრალიტეტი დაიცავიო. რაკი ჩერნოგორია ომის გუნებაზეა, სახელმწიფოებმა ერთობრივ იგივე განუცხადეს.

საერთო ყურადღებას იქცევს ალბანეთის დეპუტატი იზმაილ-ქემალ-ბეი, რომელიც აქ სტამბოლიდან მოვიდა. იგი ოსმალეთის პარლამენტის ოპოზიციონურ პარტიას ეკუთვნის. ქემალი ამბობს, ის, რაც ოსმალეთმა ალბანელებს დაუთმო, მათ ვერ დააკმაყოფილებს და, ერთი ათი დღის შემდეგ აჯანყება ისევ იფეთქებსო. ლაპარაკში ეტყობა, რომ იგი ალბანეთის ავტონომიის მომხრეა. ქემილ-ბეის ეხლა ალბანეთის ყველა კომიტეტთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკება აქვს გამართული.

მალისორების ოლქში პარტიზანური ომი სწარმოებს. გუშინ ტრაბუიონის მხრისაკენ ზარბაზნის ხმა მოდიოდა. დღეს დილითაც ადგილ-ადგილ წვრილ-წვრილი სროლაა.

**გაზეთებიდან**

ოსმალები ამბობენ, ამნისტია მხოლოდ იმათთვის გამოვაცხადეთ, ვინც აჯანყებაში მონაწილეობა ისე მიიღო, რომ არ იცოდა, თუ ეს დანაშაულობა იყო. თუ ამ ამნისტიამ და ჩვენ მიერ მიღებულმა ზომებმა ალბანელებზე არ გასჭრას, ჯარი შეუბრალებლად იმოქმედებსო. მაგრამ ჯარები და გუბერნატორები არც ეხლა მოქმედებენ შებრალებით. სკუტარიის გუბერნატორმა მცხოვრებთ რაც კი ცხენები ჰყავთ მთლად წაართვა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც აჯანყებაა, ალბანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. რამდენი კაცი მოუკლეს, ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ ის კი იციან თუ რამდენი სახლი დაუწვეს ოსმალებმა ალბანელებს. დანგრეულ სახლებთა რიცხვი 2000-ზე მეტია. კასტრატელებს დაუწვეს 550 სახლი, შვრელებს 300, გრუდელებს 250, კლემენტელებს 500 მეტი. ამას გარდა ოსმალებმა მთლად დაანგრიეს 3 საყდარი და მრავალი სოფელი გასძარცვეს. მიწების დამუშავება ხალხმა ვეღარ მოახერხა და სიმშილი ელის. აჯანყებულები ამბობენ, სიკვდილი გვირჩევნიან განადგურებულ ოჯახებში დაბრუნებასაო. ყველა ამის შემდეგ ალბანელები, რასაკვირველია, ოსმალეთის დანაპირებს უნდობლად ეკიდება. ამნისტიის შემდეგ ზოგი ალბანელი დაბრუნდა ოსმალეთში, მაგრამ ზოგი კი ვერა ჰბედავს. უმრავლესობა ოსმალეთის მთავრობას გადაჰკრულ განცხადებას და დაპირებას ელის. მათი უნდობლობა იმან უფრო გამოიწვია, რომ ოსმალებმა განაცხადეს, დაბრუნებულთ ისევე გავასამართლებთ, როგორც ჩვენ მიერ დატყვევებულთო. გაქცეულ ალბანელებს ეშინიათ, ოსმალების ფორმალობას დაიწყებენ და ცუდად დაგვსჯიანო. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ალბანელებზე, ოსმალების დანაპირებმა, მაგრამ როგორც ეტყობა უცხო სახელმწიფოები კი დაკმაყოფილებულან. მათ ელჩებს სტამბოლში რიფაატ-ფაშისათვის განუცხადებიათ: ევროპა სრულიად კმაყოფილია თქვენი მანიფესტითო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** ფეცში მუანიე მოვიდა. მუანიე სულთანმა ინახულა და უკანასკნელი ამბები აცნობა. ისაუბრეს აგრეთვე იმის შესახებ, რომ ისპანიამ ლარაშში ჯარები გადასხა.

**ბელგრადი.** გაზ. „პოლიტიკა“ იუწყება, ის 50.000 ჯარის კაცი, რომელიც სულთანის მისვლის თაობაზე კოსოვოს ველზე იყო შეგროვილი, უკან აღარ დაბრუნდებაო. უმრავლესობა ეუზიკიეს წავა, დანარჩენი სერბიის საზღვრებზე დადგებაო.

**ლისაბონი.** დამფუძნებელ კრებას დაესწრნენ არგენტინისა, ურუგვაისა, ბრაზილიისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. კრების თავმჯდომარემ წაიკითხა დეკრეტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მეფობა მოისპო, ბრაგანცთა გვარეულობა გაძევებულ იქმნა და პორტუგალია რესპუბლიკად იქმნა აღიარებული. მეორე დეკრეტით დაწესებული იქმნა ნაციონალური ბაირაღი და ჰიმნი „პორტუგეცა“. პრეზიდენტმა და მდივნებმა ხალხს პროკლამაცია წაუკითხეს. გემებიდან და ციხიდან ზარბაზნებს ისროდნენ. ბრაგამ დროებით მთავრობის სახელით თანამდებობა აიხსნა და განაცხადა, რომ მოქმედების ანგარიშს ხვალ წარმოგიდგენთო. კრებას თავმჯდომარემ წინადადება მისცა დროებით მთავრობას თანამდებობა კიდევ რამდენსამე ხნით შევანარჩუნოთო. კრებამ ეს წინადადება მიიღო.

**ცეტინიე.** მეფე ნიკოლოზი ამერიკისა და ოსმალების ელჩების თანხლებით კოპგორიცას გაემგზავრა საზღვრებზე მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევად.

**პარიზი.** როცა გენერალი მუანიე ფეცში მივიდა ელ-მოკრიმ საფრანგეთის მთავრობას სამადლობელი წერილი გაუგზავნა, რომ იგი აჯანყების დამშვიდებაში მიეშველა.

**ბერლინი.** ზედა პალატამ 92 ხმით წინააღმდეგ 86 ხმისა, მიცვალებულთა დაწვის პროექტი მიიღო.

**ვენა.** არჩევნების დროს მომხდარ არეულობაში დროგობიჩაში დაიხოცა 18 და 30 დაიჭრა.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ტამბოვის გუბერნიაში გაემგზავრა.

**ტიუმენი.** ტიუმენისა და მის მახლობელ მაზრებში 43 გრადუსი სიცხეა. ყინული დადნა, წვიმა არ მოსულა. ნათესი გადამწვარია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა და გადასწყვიტა მეფეს წარუდგინოს პროექტი, სკოლის გარეშე სამხედრო სწავლის შემოღება.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ მე-17-ე მუხლის ძალით გადაეცეს 1.100.000 მან. სემირეჩინსკში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**ვლადივოსტოკი.** კამჩატკის ნაპირებზე იაპონელთა მძარცველები გამრავლდნენ.

# თეატრი და ხელოვნება

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში.** დღეს საღამოს ( სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ. ელ. ჩერქეზიშვილის და ბ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: 1) პირველად სახალხო თეატრის სცენაზე ოპერეტკა „ქორწილის წინ“ 1 მოქ, მუსიკა ჟონასი, არ. აბაშიძისა 2) „მაღაროს მუშა“ დრამა 1 მოქ. გერბიდონისა თარ. ნ. გოცირიძისა, 3) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ კომ. 2 მოქ. ერისთავისა.

# რედაქციისაგან

ვაუწყებთ ჩვენი გაზეთის პატივცემულ მკითხველთ, რომ 1910 წლის „სახალხო გაზეთი“-ს მე-160 ნომერში გურჯაანის შესახებ მოთავსებულ კორესპონდენციაში მოხსენებული ამბები: „საზოგადოებაში ხმა დადის, პროვიზორი უზნაძე წამალში პეტს ფასს იღებსო“, არ გამართლდა.

**რედაქცია.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო თავ. გ. ამირეჯიბს, რომ ჩემის მხრივ სასამართლოს მოსამართლეებად ვასახელებ გრ. რცხილაძეს და ვ. დემიდოვს.

ორი სიტყვა კიდევ ბ-ნ გრ. დიასამიძის მეორე წერილის გამო. გრ. დიასამიძეს შეუძლიან თავის სიტყვები და აზრები როგორც უნდა ისე აურიოს და დაურიოს, სხვის სიტყვებსა და აზრსა კი ცოტა ფრთხილად უნდა მოექცეს. მე და დიასამიძეს კვირას ლაპარაკი გვქონდა ორ რუსულ გაზეთზე: „ზაკავკაზსკაია რეჩ“-სა და „ზაკავკაზიე“-ზე. მე დავეთანხმე ბ. დიასამიძეს, რომ ამ ორმა რუსულმა გაზეთმა ჩვენს საზოგადოებაში გარყვნილება შეიტანა და საჭიროა მათთან შეერთებული ბრძოლა და დავპირდი ამის შესახებ ჩვენი აზრის გამოთქმას. გრ. დიასამიძის ხელში კი ორი უსული საგანი მრავალ სულიერ საგნად იქცა. რად სჭირდება გრ. დიასამიძეს ფაქტების არევა, სწორედ მოგახსენოთ, არ მესმის.

ბ-ნო გრიგოლ, ყველა წვრილი ჩვენი საზოგადოებისა მოთმინებით ელის სასამართლოს დადგენილებას ამ საგნის შესახებ. იქონიეთ თქვენც მოთმინება, ნუ ხართ აჩქარებული!

**ხვ. უჩანაძე.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ვაცნობო ბ. ილიკო ფირცხალაშვილს, რომ, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, იძულებული ვარ უარი ვსთქვა მედიატორობაზე... **ალექსანდრე ლომთათიძე. ქ. ველკი, ვოლოგდის გუბ.**

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 ხუთ. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო მატარ.** N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული მატ.** № 107, მეოთხე კლასით, გადის ხაღ, 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსკენ:** 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დილ 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) **საფოსტო მატ.** N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) **ჩქარი მატ.** № 2. I—III კლ. გადის 8 1 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუადღ, 1 ს. 44 წ., ბალაჯარში ხაღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში ხაღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული მატ.** N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) **სახალხო მატარებ.** I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო მატ.** № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. —III კლ. ხაღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით ხაღ, 8 ს. 7 წ.

**ბათომიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშუადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, ხაღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, ხაღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მღრაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. ხაღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით. ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ- 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით. მღრაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

**სახალხო მატ.** N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4აშ, 3 ს. 26 წ.

**სახ. მატ.** № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

**სახ. მატ.** N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის ხაღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ჩრდილო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარეუბ № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული სახალხო მატ.** მე-IV კლ, N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით იგლის.

**ნ ი ხ რ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. | — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება | 40 „ |

# განცხადებანი


**მუხრანის ქუჩის**

**სამკურნალო**

გახსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაშაზოვი**—შინაგან სნეულება ნ დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გელოვ-ზეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალმკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით, დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—86)



**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს, ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი ს:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ი. პ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—55)



**ისყიდება სახლი**

თელავში, მიკიტნებისა და მეწვრიმალე ამქრების ბაღების გვერდით, საგზაო შუა, ხუთი ოთახით, ორი სარდაფით და მოზრდილი ეზოთი. მამული დაუგირავებელია. ფასი შეგიძლიანთ შეიტყოთ ქ. ტფილისში, თამარის ქუჩაზე, № 17, ღვინის დუქანში, სანდრო თანდილოვთან. (3—653—2)



**ქ. თელავში**

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

**ჭრა-კერვის წიგნი**

თვით-მასწავლებელი, 128 სახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსნებთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Щкола кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ. (100—1140—44)



**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

**პირობებით:**

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, სამეურნეო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს პირდაპირ ზამინოკაციებსაც.

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველს შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вокзала въ Нахаловкѣ. „შესავალი უმთავრეს კარებიდან“. (თ.—1084—15)


**გაზეთების მგზავნელი ბიურო**

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.


**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში**

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

**არჩილ ჯორჯაძისა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.

**Báton-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ვ. უიფიანისა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.



საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების**

**მ ა ღ ა ზ ი ა ს**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია ღვინის ორაგული** (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა**

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე. **წითელი ხიზილალა** (Кетовая). 60 კ. გირ.

და **ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.